

ევროპა თუ რუსეთი: ღირებულებითი ორიენტაციის თავისებურებები
ქართულ თემებში

მარიამ ბერიანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : სრული პროფესორი, ემზარ ჯეგერენაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

*როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს
ორიგანალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,
გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში
არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიამ ბერიანიძე

26.06.2019

აბსტრაქტი

საქართველო და მისი მოსახლეობა ათწლეულების მანძილზე ცდილობს საკუთარი პოსტ-საბჭოთა წარსულიგან გამიჯვნას და ევროკავშირთან დაახლოებას როგორც პოლიტიკურ ისე კულტურულ დონეზე. თუმცა ევროპეიზაციის გზა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ყოველთვის არ ყოფილა ერთნაირად სწორხაზოვანი. ამ პროცესისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები იკვეთებოდა ქართული საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ და დემოგრაფიულ ჯგუფებში.

კვლევა მიზნად ისახავს ქართულ თემებში ევროპასთან და რუსეთთან დაკავშირებით არსებულ ღირებულებითი ორიენტაციის თავისებურებების შესწავლას. ნაშრომი ეყრდნობა კვლევის შერეულ დიზაინს. საწყის ეტაპზე მოხდა კონტენტ-ანალიზის საშუალებით ქართულ პოპულარულ დისკურსში გავრცელებული დებულებების შეგროვება. ხოლო შემდგომ კლასტერული ანალიზის მეთოდით ამ დებულებების საფუძველზე პოპულაციის შიგნით გამოიყო ჯგუფები ღირებულებითი ორიენტაციის მიხედვით .

კვლევის პროცესში გამოვლინდა ექვსი კლასტერი, რომლებიც ევროკავშირის წევრობისადმი მხარდაჭერის დონით შემდგენიარად შეგვიძლია გავწავალავთ საკორდინატო წრეზე: პრაგმატისტები, კონსერვატორები, ლიბერალები, ნაციონალისტები, ევრონიჰილისტები და ანტიევროპელები. თუმცა აღნიშნული ჯგუფები აღწერილია არა მხოლოდ ევროპასთან არამედ რუსეთთან დამოკიდებულების მიხედვითაც, რაც კრიტიკულ როლს ასრულებს თითოეული კლასტერის ფორმირებაში.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ღირებულებითი ორიენტაციები კვლევაში მონაწილე თემებში ჰიბრიდულია და უმეტეს შემთხვევაში ხასიათდება ამბივალენტურობით. ვინაიდან მათ ფორმირებაზე გავლენას ახდნეს როგორც

ეთნორელიგიური იდენტობა, ასევე პოსტ-კოლონიური წარსული და ევროპეიზაციის ტენდენცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ევროპეიზაცია, რუსეთი, ჰიბიდულობა, ღირებულებითი ორიენტაცია.

Abstract

For decades Georgia and Georgian people have attempted to shift away from its post-soviet past and move toward the European Union on political and cultural levels. Nevertheless, the path of Europeanization has not always been straightforward, and the following process has been perceived variously by diverse groups of people coming from different social and demographic backgrounds.

The research aims to study characteristics of value orientations towards Europe and Russia in different communities of Georgia. The study is based on a mixed research design. At the initial stage of the research collection of different statements from popular Georgian discourse was carried out through the content analysis. Afterward, cluster analysis has been used to classify the population according to their value orientations.

The study found that there are six clusters within the population: pragmatist, conservatives, liberals, nationalist EU nihilists, and anti-Europeans. Following groups are aligned according to the level of support its members are expressing towards EU. However, abovementioned groups are not only characterized according to their attitudes towards Europe but towards Russia as well, since viewpoints about Russia play a critical role in forming each cluster.

The findings of the research suggest that value orientations in the specific communities are hybrid and could be often characterized by ambiguity since there is a high number of influencing factors for these orientations, such as ethnoreligious identity, post-colonial legacy and the trend of the Europeanization.

Keywords: Europeanization, Russia, Hybridity value orientations.

მადლობა

პირველ რიგში მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ემზარ ჯგერენაიას ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის: კომპეტენტური რჩევებისათვის ნაშრომის იდეის მხარდაჭერისა და გამხსნელებისთვის.

კვლევის საწყის ეტაპზე გაწეული დახმარებისა და შენიშვნებისათვის მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტს მარიამ დალაქიშვილს.

განაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს: ბატონ ივანე კეჭაყმაძეს და ბატონ მამუკა ნადარეიშვილს მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის პროცესთან დაკავშირებით გაწეული რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა ადამიანს მათი ნდობისთვის, გულწრფელობისა და ჩართულობისათვის.

გარდა ამისა მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს, მეგობრებს და გარშემომყოფებს ემოციური თანადგომისა და ხელშეწყობისათვის.